

პერსონალური თავისუფლების მოდელი XX საუკუნის
უცხოურ და ქართულ ლიტერატურაში

(ჯ.კერუაკის გზაზე-ს და გ.დოჩანაშვილის სამოსელი პირველი-ს მიხედვით)

ჟუჟუნა ბაღდოშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბელა წიფურია,

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ჟუჟუნა ბაღდოშვილი

თარიღი

აბსტრაქტი

წინაპირობა: ნაშრომის თემატიკას წარმოადგენს პერსონალური თავისუფლების ძიების ჩვენება ლიტერატურულ ტექსტებში, კერძოდ, ჯეკ კერუაკის რომანში „გზაზე“ და გურამ დოჩანაშვილის რომანში „სამოსელი პირველი“.

მეთოდოლოგია: დასმულ ამოცანაზე მუშაობა წარიმართა შედარებითი კვლევის მეთოდით. სხვადასხვა ლიტერატურაზე დაყრდნობით ჩვენ ვიკვლიეთ დასახელებული რომანები *გზაზე* და *სამოსელი პირველი*.

შედეგები: აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, თუ როგორ გაიაზრებენ და გამოსახავენ განსხვავებული კულტურულ-პოლიტიკური სისტემების ფარგლებში მოღვაწე ავტორები პერსონალური თავისუფლების პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულია ინდივიდზე სოციუმისა და სისტემის ზემოქმედების ფორმები, ისევე როგორც განსხვავებულია ავტორთა მიერ არჩეული რეპრეზენტაციული პრინციპები, ორივე რომანს აერთიანებს: ინდივიდის მიერ პერსონალური თავისუფლების მოპოვებისადმი სწრაფვა; სულიერი ძიების გზებისა და ცხოვრების გზებზე ხეტიალის მოდელები ორივე რომენში პარალელურად იკვეთება.

დასკვნა: ცხოვრების არსის შეცნობა. თავისუფალი ნების მოპოვება კვლავაც რჩება ცენტრალურ პრობლემად იმ ტექსტებში, რომლებიც მოდერნისტულ გამოცდილებას ეფუძნება და პოსტმოდერნისტულ ეპოქას შეიძლება მივაკუთვნოთ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პერსონალური თავისუფლება, თავისუფალი ნება, ბით-თაობა, საბჭოთა პერიოდი, ქართული ლიტერატურა, ამერიკული ლიტერატურა.

Abstract

Precondition: The concept of free will and personal freedom is essential in novels by Georgian writer Guram Dochanashvili, and American writer Jack Kerouak. The thesis explores, how the writers coming from different cultural and political areas, but both valuing the cultural tradition of Christianity, refer to this concept with their novels.

Methodology: The method of comparative intercultural analysis is used in order to study two novels: *On the Road*, by Jack Kerouak and *First Garment*, by Guram Dochanashvili.

Results: The study shows, how the problem of personal freedom is understood and represented in popular novels by the writers surrounded by different and oppositional political realities – Soviet and American; and both sharing the same religious and cultural traditions, which are Christian religion and Modernist culture. The similar visions of personal freedom and free will are reflected in novels, although the aesthetical principles differ: the writer from the Soviet context is actually forced to apply to the form of parable in order to transmit his personal position to reader; and the American writer applies to precise descriptions and realistic style while reflecting life surrounding his generation.

Conclusion: The goal of perceiving the meaning of life and achieving personal freedom is still central in the texts which are based on Modernist cultural experience, and at the same time open the gate of Postmodernist aestheticism.

Key Words: Personal Freedom, Free will, Beat Generation, Soviet Reality, American Literature, Georgian Literature.

მადლობა

ზემოაღნიშნული ნაშრომის მომზადებისას მუდმივ კონსულტაციებს მიწევდა ქ-ნი ბელა წიფურია, რომელიც მითითებდა ლიტერატურას, მაძლევდა შენიშვნებს და მეხმარებოდა მათ გამოსწორებაში. გაწეული დახმარებისათვის დიდი მადლობას ვუხდით მას.

დიდ მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორებს მაგისტრატურაში სწავლის წლებში ჩვენთვის გადმოცემული ცოდნისათვის და გულისხმიერებისათვის.